საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 608

2012 წ. "08" 11.

ქ. თბილისი

ა(ა)იპ - ფსიქომეტრული და საკონსულტაციო ასოციაციის მიერ წარმოდგენილი მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის - „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა განათლების ძირითადი პრინციპები" (1 კრედიტი) აკრედიტაციის მინიჭების შესახებ

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადისა და თანდართული დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 8 ნოემბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 4 დეკემბრის №1102 ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის დებულების" მე-14 მუხლის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ - ფსიქომეტრული და საკონსულტაციო ასოციაციის მიერ წარმოდგენილი მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამას - „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა განათლების ძირითადი პრინციპები" (1 კრედიტი) მიენიჭოს აკრედიტაცია.
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 8 ნოემბრის №16 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით კიკალეიშვილი

მდივანი
ზაქარია შველიძე